ძიების მოტივი ერნესტ ჰემინგუეის ნოველების გმირებში და მათი გამოძახილი გურამ რჩეულიშვილის პროზის პერსონაჟებთან

გურამ დავითლიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა

უცხო ენათა ფილოლოგია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

(შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ჩხეიძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გურამ დავითლიძე

10.07.2020

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ცდას XX საუკუნის გამორჩეული ამერიკელი მწერლის, ერნესტ ჰემინგუეისა და აგრეთვე XX საუკუნეში მოღვაწე ქართველი პროზაიკოსის, გურამ რჩეულიშვილის შემოქმედების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, დააკავშიროს ორი მწერლის მიერ შექმნილი პერსონაჟები ძიების მოტივზე დაყრდნობით.

ნაშრომის მიზანია სხვადასხვა კულტურული თუ ისტორიული ფონის მქონე მწერალთა შემოქმედების ახლებური გადააზრება და პერსონაჟებზე დაკვირვებით, მსოფლხედვათა ერთ ჩარჩოში გაერთიანება.

საკვლევად შეირჩა ისეთი ნოველები თუ მოთხრობები, რომლებიც იდეოლოგიური თვალსაზრისით, გარკვეულწილად, ეხმიანებიან ერთმანეთს და მათში შეინიშნება ის ნიუანსები, რომლებიც კვლევის წარმოებისათვის მნიშვნელოვან დეტალებს წარმოადგენენ.

ერნესტ ჰემინგუეისა და გურამ რჩეულიშვილის ტექსტების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, თუ როგორი გავლენა მოახდინა ერნესტ ჰემინგუეიმ ქართველ პროზაიკოსზე და რამ განაპირობა ამ გავლენის ჩამოყალიბება მის შემოქმედებაში.

საკვანძო სიტყვები: *ერნესტ ჰემინგუეი, გურამ რჩეულიშვილი, ძიების მოტივი, ახალი კრიტიკა, ნიკ ადამსი, ამერიკული ნოველა.*

Abstract

The following thesis, using a comparative analysis method, is an attempt to relate the characters created by two writers of the 20th century, an outstanding American writer Ernest Hemingway and a Georgian prose writer Guram Rcheulishvili, on the basis of the motives of pursuit manifested in their texts.

The paper aims at reevaluating the work of two writers with different cultural as well as historic backgrounds and, through the process of observing the characters, creating a common frame of worldview.

From an ideological point of view, the short stories and novellas, selected for the analysis, are interrelated to some extent and reflect particular nuances - being important details for the research. Conclusions made on the basis of analysing the texts of Ernest Hemingway and Guram Rcheulishvili, demonstrate how Ernest Hemingway influenced the Georgian prose writer and what caused the foundation of the influence in his work.

Key words: Ernest Hemingway, Guram Rcheulishvili, process of observing, new critisim, Nick Adams, American novel.